

ა. ცინცაძე, თ. გაპანაძე, ო. გაბედავა

აღაატური მოდელირება, სრული იდენტიფიკაციის ამოცანაში

რეზიუმე: ადაპტური მოდელირებას საშუალებას ქმნის სრული იდენტიფიკაციის ყველა ამოცანა ერთი სტრუქტურის მქონე ალგორითმა კომპლექსით, დროის რეალურ მასშტაბში გადაწყდეს. ეკოლოგიური სისუფთავე, რეალიზაციის სიმარტივე და მაღალი ეფექტურობა – ის მახასიათებლებია, რომლებიც ადაპტურ ალგორითმებს მათემატიკურ მოდელირებაში უაღმერნაბრივოდ აქცევს.

საკვანძო სიტყვები: მათემატიკური მოდელირება, ადაპტური ალგორითმები, კომუტაციური მანქანა.

1. შესავალი

სამეცნიერო ტექნიკური პროგრესი, საზოგადოებრივი წარმოების ზრდა, ტექნიკური სისტემების გართულება და ტექნოლოგიური პროცესების დახქარება, ჰემანიტარულ მეცნიერებათა კვლევისა და ჰემანიზაციის პროცესის არეალის გაფართოება, იწვევდა და იწვევს ინფორმაციული ნაკადების პროგრესიულ ზრდას. ინფორმაციულმა გაჯერებამ თავისი კვალი დაამზნია გადაწყვეტილების მიღების ხარისხისა და მისი შესრულების ოპერატორობას. ამ ნაკადების შეფასება, ანალიზისა და ორგანიზაციის გარეშე შეუძლებელია გადაწყვეტილი კვლევის ობიექტის მოდელირებისა და აქედან გამომდინარე მისი უფექტური მართვის, დაგეგმვისა და პროგნოზის პრობლემა.

დამატებით წინააღმდეგობას ქმნის თანამედროვე ურთულეს ჰუმანიტარულ და ტექნიკურ პროცესთა შესახებ არასრული ინფორმაცია და მათი არასტაციონალობა, ტექნიკური და ტექნოლოგიური მართვის /ან ნაკეთობის ხარისხისადმი/ წაყენებული მოთხოვნების განუხრელი ზრდა, მართვის ავტომატიზებული სისტემების დროის რეალურ მასშტაბში მუშაობის აუცილებლობა, პროცესების აღწერის ადექვატურობისადმი წაყენებული მზარდი მოთხოვნები და ა.შ. ასეთი დონის განზოგადებული ამოცანების გადაწყვეტა ითხოვს ტექნიკურ საშუალებათა სრულყოფას. ამდენად XX საუკუნის მეორე ნახევარში ძირითადი აქცენტირება სწორედ ამ უკანასკნელი პრობლემის გადაწყვეტაზე იყო გამახვიდებული. უკანასკნელ წლებში ტექნიკური უზრუნველყოფის მიღწეულმა დონეზე დასმულ პრობლემათა დღვევანდელობის მისაღები სიზუსტით გადაწყვეტის შესაძლებლობა შექმნა. ამდენად ძირითადი უკრადება სისტემის თეორიულ, მეთოდოლოგიურ საფუძველზე გადავიდა, რომელიც განსაზღვრავს სისტემის ეფექტურობასა და ლინეარულებას. აქედან ბუნებრივია დავასკვნათ, რომ მეცნიერული კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური, ფუნდამენტური საფუძვლები თვისობრივად ახალი დონის მოთხოვნებს უნდა პასუხობდნენ.

ამგვარად, კვლევის ობიექტი – არასტაციონალური, რთული შემთხვევითი პროცესების მომცველი, გარენულად ინტენსიური ინფორმაციული ნაკადების მატარებელი /ჰემანიტარული ან ტექნიკური, ტექნოლოგიური/ ობიექტია. კვლევის ამოცანა კი ამ ურთულეს ობიექტში მიმდინარე პროცესების მათემატიკური აღწერა, ანალიზი.

მოთხოვნები, რომელიც ამ ამოცანის გადაწყვეტისას უნდა იქნას დაცული პირველ რიგში გარემოზე ზემოქმედების გარეშე, მისი ნორმალური ფუნქციონირების მიღწევის სერვილიდან გამომდინარებენ. ობიექტის მეცნიერული კვლევის, წვდომის და შემეცნების მეთოდოლოგიური საფუძველი თანამედროვე ალბათობის თეორიასა და მათემატიკურ სტატისტიკას დაფუძნებული მოდელირების თეორიაა.

2. ძირითადი ნაწილი

მათემატიკური მოდელირება მოდელირების ერთ-ერთი უახლესი მიმართულებაა. იგი საშუალებას იძლევა ობიექტის ნორმალური ფუნქციონირებისას აბიექტის შესავალ და გამოსავალ სიდიდეთა ცოდნით, ფორმალიზებულად, მათემატიკურად აღვწეროთ მათ შორის კავშირი. ფაქტიურად ობიექტი წარმოდგენილია, როგორც შეუღევადი მოწყობილობა ეწ. „შავი ყეთი”, რომლის შესახებაც მხოლოდ აღმშვითი ზემოქმედებები /მიზეზი/ და მისი რეაქცია /შედეგი/ არის ცნობილი. მათემატიკური მოდელირება მიზნად არ ისახავს ამ მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ანალიზს, არამედ კმაყოფილდება მისი მხოლოდ რაოდენობრივი მსარის ფორმალიზებული ურთიერთკავშირების შეფარდებით. ტექნიკური კიბერნეტიკის ეს მიმართულება თანამედროვე ფილოსოფიის ერთი განმტკიცილების – ბიპევირიზმის საფუძველზეა წარმოშობილი. ბიპევირიზმი მიზნად ისახავდა ცოცხალი ორგანიზმების მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შეფასებას, რათა ამ საფუძველზე შემდგომ პროგნოზი გაეკვთებინა, გამოეცნო ახალ გაღიზიანებებზე ცოცხალი ორგანიზმის რეაქცია. ფაქტიურად ამ თრთოდოქსალური იდეალიზმის მიმართულება ცოცხალი ორგანიზმების /და მათ შორის ადამიანის/ მართვისათვის იყო

გამიზნული. ფილოსოფიაში სწრაფად აღმოჩნდა ამ მიმართულების და მისი მიღვომის მცდარობა, მაგრამ კიბერნეტიკამ მთელი სისრულით წარმოაჩინა, რომ ე.წ. „შავი ყუთის” მეთოდი წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნას ობიექტში მიმდინარე პროცესთა რაოდენობრივი აკუმულირების დახასიათებისათვის.

თუ გარკვეული წინასწარი სტატისტიკის საფუძველზე შეფასებულია ობიექტის რაოდენობრივი კავშირები, საშუალება გვაქვს ყოველი ახალი ზექმედებისათვის „გინისაწარმეტყველოთ” ობიექტის რეაქცია, რაც შემდგომი დაგეგმვის და მართვის საფუძვლად შეიძლება იქცეს. დღესისათვის მათემატიკურ მოდელირებაში გამოყენებული მრავალი მეთოდი ან ალგორითმი სრულიადაც ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. მნიშვნელობა არ აქვს სად იქნება მოდელირების მათემატიკური აპარატი გამოყენებული ტექნიკურ სისტემების მართვაში, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ანალიზში თუ მეცნიერების ჰუმანიტარულ-ტექნიკურ სფეროში, მათემატიკური აპარატისადმი წაყენებული მოთხოვნა – მაქსიმალური ეფექტურობა და ეკოლოგიური სისუფთავეა.

მათემატიკური უზრუნველყოფის განვითარების დღვენძელელი დონე დიდი არჩევანის შესაძლებლობას იძლევა. იქნება ილუზია, რომ ტექნოლოგიურ პროცესებთან შედარებით გაცილებით არააქტუალურია ტექნოლოგიური სისტემების ფუნქციორებით, მითუმეტეს მისი მათემატიკური აპარატით წარმოქმნილი ეკოლოგიური საფრთხე. დეტალური ანალიზი კი საპირისპირო სურათს იძლევა. ტექნიკური სისტემები, როგორც ავტომატიზაციის სხვა მდგრებელები ზრდიან სიცოცხლის ტემპს, ადამიანურ მანქანურ სისტემებში ინდიკირდის დატვირთვას. როგორც IFAC-ის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ კოლექტურმა ადინიშნა „ეს არის ბიოსფეროს რიტმში ჩარევა, რომ არაფერი ვთქვათ გარემოს დაჭუქვიანობაზე. თავის მხრივ ბიოსფერო უკუკავშირის საფუძველზე მოქმედებს ადამიანის ორგანიზმებ, იწვევს დაავადების მნიშვნელოვან ზრდას”. გამოსავალი – ისეთი მათემატიკური აპარატის შერჩევა, რომლის საფუძველზე აგებული ტექნიკური სისტემა ორგანულად ჩაწერება გარემოს ნორმალურ ტემპში, შეერწყმის მას და არ იწვევს შინაგანი, ზოგჯერ უხილავი ბიორითმების არითმიას. ასეთი პირობების დაკმაყოფილება საკმაოდ ამცირებს გამოსადგენ მათემატიკური აპარატის არჩევანს. ადვილად იძებნება პარალელი ასეთ მათემატიკურ აპარატსა და ბიოსისტემის ქმედების ალგორითმს შორის.

როგორც ვხედავთ საძებნ მათემატიკურ აპარატსა და ბიოსისტემას მუშაობის პირობებიცა და წაყენებული მოთხოვნებიც ადექვატური აქვთ. აქედან გამომდინარე შერჩევლი მოდელების ალგორითმებს ცოცხალი ორგანიზმების ის უმთავრესი თვისებები უნდა გააჩნდეს, რომლებიც აღნიშნულ პირობებში წაყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილებას განაპირობენ [1, 2]:

1. ადაპტაცია,
2. განსწავლადობა,
3. ცდომილებათა თვითორეგულირება.

ადაპტაციის თვისება ობიექტის ცვალებად მახასიათებლებთან შეგუებას უზრუნველყოფს.

განსწავლადობა – მიმდინარე ინფორმაციის გადამუშავებასა და გადაწყვეტილების თანამდებობით, ინტერაცულად მიღწევას.

ცდომილებათა თვითორეგულირება კი – დაშვებული ცდომილებების ელიმინირებას.

მოდელირების პროცესი მოიცავს სახეობა ამოცნობის, იდენტიფიკაციის, სრული იდენტიფიკაციის და პროგნოზის მდგრებლებს. ბიოსისტემაც ძირითადად არაცნობიერ დონეზე მუდმივად წყვეტდა და წყვეტს ჩამოთვლილი ამოცანებს. ცოდნა და გამოცდილება ბუნებაში არსებული კანონიზმიერებების შესახებ შეიძინება არა მხოლოდ წინასწარარსებული /აპრილული/ დონის ათვისებით, არამედ კორექტირდება და შეივსება ინფორმაციული ნაკადების მიზეზ-შედეგობრივი ანალიზით. ამ კანონებსა და კანონიზმიერებებზე დაყრდნობით, არსებული სიტუაციის /აწყოს/ გათვალისწინებით ცოცხალ ორგანიზმებს შეუძლიათ ამა თუ იმ სიზუსტით მომავლის მოდელირება და მათ შორის განსხვავების /განთახმების/ შესაბამისად თავიანთი ქმედების კორექტირება. მაღალგანვითარებულ ბიოსისტემას ძალუბს მოახდინოს სიტუაციებისა და ობიექტების კლასიფიკაცია, ანუ წყვეტს სახეობა ამოცნობის ამოცანას. მას შეუძლია გარკვეულ დონეზე პროცესის მიზეზ-შედეგობრივი ანალიზით ობიექტის შიგა კანონიზმიერებების შეფასება, იდენტიფიკაცია და მასზე დაყრდნობით პროცესის ან მოვლენათა განვითარების პროგნოზი. ამგვარად მაღალგანვითარებულ ბიოსისტემას აქვს მოდელირების ბუნებრივი თვისებები და ის უვოლუციაშ შექმნა. მუტაციის პროცესში სტრუქტურის, თვისებებისა და შესაძლებლობების ნორმიდან გადახრიდან ფიქსირდება და მექანიზრებაში გადადის ხელსაყრელი ცვლილებები, რომლებიც ზრდიან ბიოსისტემის სიცოცხლისუნარიანობას. თუ მუტაციის დროს წარმოიშვა /ადოქტორის ნებისმიერ სფეროში/ თუნდაც სულ მცირე პროგრესი, ორგანიზმი გამოიყენებს მას და სრულყოფს შემდგომი უვოლუციის პროცესში. ბიოსისტემა აღქმის და წინხედვის უკეთესი შესაძლებლობებით შეძლებს უკეთესად შეიცნოს აწყოს, წინასწარ განსვრიტოს მომავლის სიტუაციები, ალდო აუდოს მას და შეეგუოს /ადაპტირება

მოახდინოს/. დანარჩენ თანაბარ პირობებში, ეფოლუციის აღმავალ კიბეზე იმარჯვებს ის, ვისი მოდელიც უკეთესია, ე.ი. ვინც უკეთესად წყვეტს ზემოთდასმულ ამოცანებს და წინჭვრებს მომავალს.

საგზასმით უნდა აღინიშნოს, რომ უკელა ზემოთხამოთვლილ ამოცანას ბიოსისტემა დროის რეალურ მასშტაბში წყვეტს. იმდენად ურთიერთდაკაგშირებულია ეს ამოცანები, რომ ძნელდება მათი განმხოლობა და ბიოსისტემას მხოლოდ მათი კომპლექსში ერთი და იგივე მექანიზმით /ალგორითმით/ გადაწყვეტის შესაძლებლობა რჩება. ამ ვარაუდს დასმულ ამოცანათა დიალექტიკური ერთიანობა ამაგრებს [1].

როგორც ჩვენი ჯგუფის ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენეს მოდელირების, ისე მისი მდგრენელი ამოცანების გადაწყვეტისას უკელა ზემოთხამოთვლილ მოთხოვნას მათემატიკური მოდელების უახლესი მიმართულების – ადაპტური განსწავლადი ალგორითმების კლასი აქმაყოფილებს. ასეთ ალგორითმებს წარმატებით იყენებენ არასტაციონალური ობიექტების მოდელირების სხვადასხვა ამოცანების გადასაწყვეტად.

ალგორითმთა კოლექტივი თრგანულად შეერწყმის გამოთვლითი ტექნიკის უახლოესი მიღწევის – კომუტაციური მანქანის კონსტრუქციულ სიახლეებს. კომუტაციური გამოთვლითი მანქანა ერთი პროცესორის ნაცვლად დიდი რაოდენობის /65536 პროცესორს შეიცავს კომუტაციური მანქანის დღისისათვის აშშ-ში აგებული გზზმპლარი/ მცირე ზომის პროცესორებს შეიცავს. ეს პროცესორები პარალელურად მუშაობენ და ადგურვილი არიან მცირე მოცულობის „საკუთარი“ მექანიზმით. ასეთ სისტემაში, რომელიც პარალელური გამოთვლის პრინციპს ეკრანისა, როგორც პროცესორები, ისე მისი მეხსიერება დიდი ეფექტურობითა გამოყენებული. ერთობლივი მუშაობის პრინციპით თუმცა გამოთვლების დიდი სისწავე მიიღწევა, მაინც კომუტაციური მანქანის მთავარი საინტერესო თავისებურება მისი მოქნოლებაა. მოცულები კონკრეტული ამოცანის პირობებიდან გამომდინარე კომუტაციის ქსელი პროცესორებს შორის ინფორმაციის დროს კონკრეტულ მოქმედში გაცვლის შესაძლებლობას ქმნის. პარალელური მოქმედების მოდელირების ალგორითმთა კოლექტივი, რომელთაგან თითოეული მცირე მეხსიერების მოცულობას მოითხოვს, განსაკუთრებით წარმატებით შეიძლება განხორციელდეს კომუტაციურ გამომოთვლელ მანქანაში. გამოთვლების გარკვეულ ეტაპზე ალგორითმებს შორის ინფორმაციის გაცვლით შეიძლება მოდელირების შედეგების შეჯერება, გაერთიანება – ეს კი დროითი დანაკარგების გარეშე თითოეული ალგორითმის მაქსიმალურ ჩართვას განაპირობებს კოლექტიური, ერთობლივი მოდელირების პროცესში.

3. დასკვნა

შერჩეულია ალგორითმთა კლასი, რომელიც წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ სრული იდენტიფიკაციის ამოცანაში.

4. ლიტერატურა

1. ა. ცინცაძე. ჰუმანიტარულ-ტექნიკური მეთოდოლოგია სახელმწიფოს მართვაში, გამ. „გლობალ-პრინციპი“, ქ. თბილისი, 1997 წ.

2. გ. ჩოგოვაძე, ა. ცინცაძე. ხელოვნური ინტელექტი საზოგადოების კარიბჭესთან. გამ. „საბჭოთა საქართველო“, ქ. თბილისი, 1986 წ.

А. Цинцадзе, Т. Капанадзе, О. Габедава

АДАПТАЦИОННОЕ МОДЕЛИРОВАНИЕ В ЗАДАЧЕ ПОЛНОЙ ИДЕНТИФИКАЦИИ

Резюме

Адаптационное моделирование дает возможность в реальном маштабе времени решить все задачи полной идентификации с помощью комплекса алгоритмов одной структуры. Экологическая чистота, простота реализации и высокая эффективность- это те характеристики, которые делают адаптационные алгоритмы в математическом моделировании безальтернативными.

A. Tsintsadze, T. Kapanadze, O. Gabedava

ADAPT MODELLING IN THE PROBLEM OF FULL IDENTIFICATION

Summary

Adapt modelling gives opportunity to solve all problems of full identification for me structure algorithm complex in the scale of real time, ecological cleanless, simpliness of realization and high efectiveness. These are the cherafceristics which mave adapt algorithmsin mathematic modeling unaltermative.